ПРОЛЕТАРИЯ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 10 (20656) — ხუთშაბათი, 11 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო: ძირეული გარდაქმნის ეტაპი

სოფია, 9 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). ბულგარეთის დედაქალაქში დღეს გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 45-ე სხდომა, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

სხდომა გახსნა და მონაწილეებს გულთბილად შეიხალმა ბულგარეთის მთავრობის მეთაური გ. ათანასოვი.

ახლანდელ სხდომას, თქვა მან, გარდამტები მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორგანიზაციის მუშაობისთვის. თავისი საქმიანობის 40 წლის მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მათი ეკონომიკის განმტკიცებაში.

მაგრამ ბოლო წლებში ჩვენი თანამშრომლობა თანდათანობით კარგავს თავის ეფექტიანობასა და დინამიკას. გამოვლინდა მთელი რიგი სიძნელენი და ნაკლოვანებანი. მრავალმხრივი თანამშრომლობის სისტემაში არახელსაყრელ მოვლენათა ობიექტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ასახავენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნეგატიურ პროცესებს. სწორედ ამიტომ, ჩვენი ღონე რწმენით, თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი განვითარება უშუალოდ უკავშირდება რადიკალურ რეფორმებს, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში მიმდინარეობს.

შემდეგ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ლუკანოვმა მონაწილეთა წინაშე გააკეთა ინფორმაცია სესიის 44-ე და 45-ე სხდომებს შორის საბჭოს საქმიანობის შესახებ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების თაობაზე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ძალისხმევა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ამ პერიოდში მიზნად ისახავდა უპირველესი ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაციას, მეტ წილ ამ ქვეყნებში ღრმა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. წარმოების ერთგვარი მატების მიუხედავად, მეტ წილ ქვეყნებში გამწვავდა სიძნელეები სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის ნაკლოვანებებმა, ისევე როგორც საბჭოს ქვეყნების ეკონომიკაში შექმნილმა შინაგანმა სიძნელეებმა, ნეგატიური გავლენა მოახდინა საქონლეგაცვლის განვითარებაზე. საანგარიშო პერიოდში იგი თითქმის არ გაზრდილა, ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმებებით გათვალისწინებული ტემპი ფაქტობრივად არ სრულდება.

აღმასრულებელ კომიტეტში და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის, განაცხადა ორატორმა, მომწიფდა იმის გაგება, რომ ამ ტენდენციების დაძლევა და ინტეგრაციული პროცესების გაკეთილშობილება ახლა მოითხოვს თანამშრომლობის მთელი სისტემის არა სრულყოფას, არამედ მკაცრ და გაბედულ რეფორმას, რევოლუციურ მიდგომას მრავალმხრივი თანამშემეგობის პრინციპებისა და მექანიზმების განხილვის დროს.

ნაშუადღევს სესიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა.

რეფორმის პირობებში, იმ რევოლუციური ცვლილებების პირობებში, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში ხდება, აღინიშნა მან, საბჭოთა კავშირი არ ცვლის თავის პრინციპულ დამოკიდებულებას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსადმი და მიიჩნია იგი ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთსასარგებლო კოლექტიურ ორგანოდ.

საბჭოთა კავშირისათვის, ისევე როგორც სხვათა შორის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სხვა სახელმწიფოებისთვისაც, არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი კოლექტიური ორგანიზაცია აერთიანებს ქვეყნებს, რომელთა შორის მტკიცე და საარსებოდ აუცილებელი ეკონომიკური კავშირურთიერთობანი დამყარდა. ერთ სიტრკმრივ-სამეურნეო რეგიონში მდებარე ამ ქვეყნების უმრავლესობამ შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებლობა მიიღოს ტერიტორიული სიახლოვის გამო. ქვეყნებისათვის, რომლებსაც ესოდენ მაღალი სამეურნეო ურთიერთშეღებვის დონე აქვთ, ანსურდი იქნებოდა არ დაეფასებინთ თავიანთი კოლექტიური ორგანიზაციის პოზიტიური როლი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს თანამშრომლობის მთელი რიგი საერთო პირობები, სტანდარტები და ნორმატივები, ხდება ინფორმაციის გაცვლა განვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ბოლო წლებში, განაგრძო ნ. ი. რიჟკოვმა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებამ დაკარგა თავისი დინამიზმი, შესუსტდა მათი როლი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანობა შემცირდა. სულ უფრო შესამჩნევი დაბრკოლებანი ექმნება ერთმანეთთან ვაჭრობის ზრდას, გადამშეშვებელი და მაწარმოებელი ერთეული, რომელიც არ არის დაკავშირებული არც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეროვნულ ვალუტებთან, არც თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებთან, და ამიტომ არ შეიძლება იყოს სრულფასოვანი საგადამხდელო საშუალება. ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში საწარმოებმა მიიღეს საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება და ახლა სჭირდებათ სწორედ რეალური საგადამხდელო საშუალებანი, გადასაყვანი მანეთი გაერთიანების ინსტრუმენტიდან გადაიქცა კავშირურთიერთობის განვითარების დაბრკოლებად. და ამას გარდა, ქვეყნებში საშინაო ანგარიშსწორებისათვის წესდება დოლართან შედარებით ეროვნული ვალუტებისადმი გადასაყვანი მანეთის დისკრიმინაციული კურსები.

რა თქმა უნდა, საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა საბჭოური მანეთისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეროვნული ვალუტების კონვერტირების მიღწევა და მათი გამოყენება ერთმანეთთან ანგარიშსწორებისათვის. მაგრამ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა აყოვნებს ამ ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტას. ამ ეტაპზე ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის გარდაქმნის გადასაყვანი მანეთი არსებითად იყო და არის მხოლოდ საანგარიშსწორებო ერთეული, რომელიც არ არის დაკავშირებული არც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეროვნულ ვალუტებთან, არც თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებთან, და ამიტომ არ შეიძლება იყოს სრულფასოვანი საგადამხდელო საშუალება. ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში საწარმოებმა მიიღეს საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება, ეს ფაქტი ნაკლებ ეფექტურად ემოქმედებოდა ეროვნული ეკონომიკური ბალანსების მოწესრიგებაზე. ეს, ალბათ, ეკონომიკური ურთიერთობების ეროვნული ფუნქციონირებისათვის.

აქვე იმის თაობაზეც უნდა ითქვას, რომ ქმედითი, არსებული ღონისძიებები ხორციელდება თბილისის რაიონული ელექტროსადგურის ახალი სიმძლავრეების ასამოქმედებლად. ახლა აქ დაძაბული სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს, რომ მალე ჩადგეს მწყობრში ორი ახალი აგრეგატი. თითოეული მათგანის სიმძლავრე 300 მეგავატს შეადგენს. მათი სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ, — იმედი გვაქვს, რომ ერთი აგრეგატი მარტში ამუშავდება, მეორე კი წლის ბოლოს, — რესპუბლიკის ენერგოსისტემა დამატებით მიიღებს სულ ცოტა 8-10 მილიონ კილოვატსაათს. ეს, რომ იტყვიან, სულის მოთქმის საშუალებას მოგვცემს. ამას გარდა, ახლო მომავალში — 1991 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცემა კიდევ ერთი ახალი მძლავრი აგრეგატი, რამაც პერსპექტივაში მყარი და საიმედო წყანამძღვრები უნდა შექმნას რესპუბლიკის ენერგომომარაგების ბალანსის მწვავე პრობლემების გადასაჭრელად.

ბ. ლობჟანიძე: ალბათ, მართებული იქნება იმის თქმა, რომ ჩვენ გაზით მომარაგებაში ადრე უფრო დიდი პრობლემები გვქონდა. მართალია, რესურსული უზრუნველყოფა წელსაც საკმაო დიდი ხარვეზებით ხორციელდება, — დღეღამურ ნორმასთან შედარებით ჩვენ დაახლოებით 2,5-3 მილიონი კუბური მეტრით ნაკლებ გაზს ვიღებთ, მაგრამ მოსახლეობას ფაქტობრივად ეს არ უნდა შეეხოს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალების შესაბამისად შემუშავებულია სისტემა, რომელიც გაზის შეფერხებითი მიწოდების პერიოდში, მოსახლეობის შეუზღუდავი მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ითვალისწინებს საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანას სარეზერვო საწვავზე. მთავრობის მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, მთელი რიგი საწარმოები უკვე დეკემბრის დასაწყისიდანვე იქნა გადაყვანილი სარეზერვო საწვავზე, რომლის საკმაო მარაგიც ყველა წარმოებას აქვს.

სამრეწველო საწარმოებისათვის გაზის მიწოდების შეზღუდვის გრაფიკი ექვსი რიგისაგან შედგება. იმისდა კვალობაზე, თუ რა რაოდენობის გაზი აკლდება რესპუბლიკას, განისაზღვრება შეზღუდვის რიგითობა და გაზის მეურნეობები შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ. გარკვეული რეზერვები აქაც არის, გაზის მიწოდება ჯერ კიდევ არ დაშვებულა ზღვრულად კრიტიკულ დონედან. სათბობის კომიტეტის სისტემის შრომითი კოლექტივები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მკვეთრად აცილების პირობებშიც კი მაქსიმალურად კმაყოფილდებოდეს მოსახლეობის მოთხოვნები გაზზე.

ენერგოდეფიციტი

მოსახლეობამ არ უნდა იზარალოს

მძიმე, კრიტიკული სიტუაცია იქმნება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შეუფერხებლად მიწოდებაში. ჩერდება სამრეწველო საწარმოები, გახშირდა საცხოვრებელი მასივებისათვის ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევები, სხვა არასახიამოვნო სიმპტომებმაც იჩინა თავი... რა ხდება, რამდენად სერიოზულია ელექტროენერგიის კრიზისი? ნუთუ ენერგოსისტემა სათანადოდ ვერ მოემზადა მოსალოდნელი კრიტიკული სიტუაციებისათვის? შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზების რა ღონისძიებებს მიმართავენ ამჟამად რესპუბლიკაში? — აი, კითხვები, რომლებიც სულ უფრო ხშირად გაისმის დარგის მეხელეურთა მისამართით.

სიტყვა ინფორმაციისათვის — საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს — „საქენერგოს“ უფროსს იური ჰედიას და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბაბუა ლობჟანიძეს.

ი. ჰედია: ალბათ, იმით უნდა დავიწყოთ, რომ არ არის მართალი, თითქოს სახელდობრ წელს ხდება რაღაც განსაკუთრებული და ამის მიზეზები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიმდინარე რთულ საზოგადოებრივ პროცესებში უნდა ვეძებოთ მხოლოდ. გვერწმუნეთ, არავითარი ობიექტური საბაბი საკითხის ამდაგვარად დასმისა არ არსებობს. ეს დრო ტრადიციულად ძალზე მძიმე პერიოდია ენერგომომარაგებისათვის; მით უმეტეს, რომ ენერგორესურსების არაერთი პრობლემა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. ამჟამად ელექტროენერგიის ყოველდღიური მოხმარება ჩვენს რესპუბლიკაში 57 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს. მისი დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი, უფრო ზუსტად 41 მილიონი კილოვატსაათი თვით ჩვენივე წარმოების ელექტროენერგიით იფარება, 16 მილიონს კი ამიერკავკასიის ენერგოსისტემის ხაზებით ვიღებთ. იანვრის პირველი დეკადის ბოლოს შეფერხება მოხდა აზერბაიჯანისა და სომხეთის თბოელექტროსადგურებზე, რის გამოც 3 მილიონ კილოვატსაათამდე დაეცა ჩვენთვის ელექტროენერგიის მოწოდება.

ესე იგი, დეფიციტი ამჟამად ყოველდღიურად 13 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს. დანაკლისს შევსების სხვა წყაროები ჯერჯერობით არ გაგვიჩნია და რესპუბლიკაში შექმნილი კრიტიკული სიტუაციაც ამასთანავ დაკავშირებული. რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად?

პირველი, სიტუაციის გამწვავებისთანავე შეწყდა ელექტროენერგიის ექსპორტი; რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები დაუყოვნებლივ, პირველი საათებიდანვე იქნა გადაყვანილი შეზღუდული მოხმარების რეჟიმზე, რომ მოსახლეობას ნაკლებად ეგრძნო ელექტროენერგიის დანაკლისი. ამჟამად ჩვენი უმთავრესი პრობლემა მოსახლეობის შეუფერხებელი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფაა. ის ლიმიტები, რაც ამ მიმართებით არის დაწესებული, ხელუხლებელი რჩება და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობის ინტერესები არ დაზარალდეს. ელექტროენერგიის რესურსების დანაკლისი, — იგი კი საერთო მოხმარების დაახლოებით 20-25 პროცენტს შეადგენს, — ძირითადად სამრეწველო საწარმოთა მუშაობაზე მოახდენს გავლენას. საერთოდ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ამტკიცებს ზამთარში ელექტროენერგიის მოსალოდნელი დეფიციტის პირობებში ელექტრომომხმარებლების შეზღუდვისა და გამორთვის გრაფიკს („ა“ და „ბ“ გრაფიკი), რომელშიც 786 საწარმოა შეტანილი. მთლიანი შეზღუდვის სიდიდე „ა“ გრაფიკში 12,5 მილიონი კილოვატსაათით არის გათვალისწინებული. ამჟამად სწორედ ასეთი მოცულობის დეფიციტი გვაქვს და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად შეეუდექით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ორი დადგენილება მიიღო მოსალოდნელ კრიზისულ სიტუაციაში გასახორციელებელ სპეციალურ ღონისძიებათა შესახებ. ამჟამად მიღებულია გადაწყვეტილება რამდენიმე ენერგოტევადი საწარმოს გაჩერების შესახებ.

ეს ღონისძიება დროის მოკლე მონაკვეთზე, — დაახლოებით ორსამ კვირაზეა გაანგარიშებული, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მუშავდება ღონისძიებათა კომპლექსი შექმნილი დეფიციტის სალიკვიდაციოდ.

რა თქმა უნდა, ასეთ დაძაბულ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ენერგოსისტემაში შემავალი ელექტროსადგურებისა და სხვა წარმოება-დაწესებულებების შეუფერხებელ, გამართულ მუშაობას. ჩვენს შრომით კოლექტივებს კარგად აქვთ შეგნებული შექმნილ ვითარებაში თავიანთი პასუხისმგებლობა და ყველაფერს აკეთებენ რესპუბლიკის ენერგოსალანძის შესანარჩუნებლად. გამართულად მუშაობს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. იგი ყოველდღიურად დააწოლებით 24-25 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას აწვდის მომხმარებელს. ელექტროსადგური ე.წ. ბლოკების დასაწყისიდან მაზუთზეა გადაყვანილი, საწვავის ყოველდღიური მოწოდების გეგმები საკმაო სიზუსტით სრულდება. ამასთან, არის სოლიდური მარაგიც, რაც ყველა პირობას ქმნის ამ მნიშვნელოვანი ენერგოობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

აქვე იმის თაობაზეც უნდა ითქვას, რომ ქმედითი, არსებული ღონისძიებები ხორციელდება თბილისის რაიონული ელექტროსადგურის ახალი სიმძლავრეების ასამოქმედებლად. ახლა აქ დაძაბული სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს, რომ მალე ჩადგეს მწყობრში ორი ახალი აგრეგატი. თითოეული მათგანის სიმძლავრე 300 მეგავატს შეადგენს. მათი სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ, — იმედი გვაქვს, რომ ერთი აგრეგატი მარტში ამუშავდება, მეორე კი წლის ბოლოს, — რესპუბლიკის ენერგოსისტემა დამატებით მიიღებს სულ ცოტა 8-10 მილიონ კილოვატსაათს. ეს, რომ იტყვიან, სულის მოთქმის საშუალებას მოგვცემს. ამას გარდა, ახლო მომავალში — 1991 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცემა კიდევ ერთი ახალი მძლავრი აგრეგატი, რამაც პერსპექტივაში მყარი და საიმედო წყანამძღვრები უნდა შექმნას რესპუბლიკის ენერგომომარაგების ბალანსის მწვავე პრობლემების გადასაჭრელად.

ბ. ლობჟანიძე: ალბათ, მართებული იქნება იმის თქმა, რომ ჩვენ გაზით მომარაგებაში ადრე უფრო დიდი პრობლემები გვქონდა. მართალია, რესურსული უზრუნველყოფა წელსაც საკმაო დიდი ხარვეზებით ხორციელდება, — დღეღამურ ნორმასთან შედარებით ჩვენ დაახლოებით 2,5-3 მილიონი კუბური მეტრით ნაკლებ გაზს ვიღებთ, მაგრამ მოსახლეობას ფაქტობრივად ეს არ უნდა შეეხოს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალების შესაბამისად შემუშავებულია სისტემა, რომელიც გაზის შეფერხებითი მიწოდების პერიოდში, მოსახლეობის შეუზღუდავი მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ითვალისწინებს საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანას სარეზერვო საწვავზე. მთავრობის მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, მთელი რიგი საწარმოები უკვე დეკემბრის დასაწყისიდანვე იქნა გადაყვანილი სარეზერვო საწვავზე, რომლის საკმაო მარაგიც ყველა წარმოებას აქვს.

სამრეწველო საწარმოებისათვის გაზის მიწოდების შეზღუდვის გრაფიკი ექვსი რიგისაგან შედგება. იმისდა კვალობაზე, თუ რა რაოდენობის გაზი აკლდება რესპუბლიკას, განისაზღვრება შეზღუდვის რიგითობა და გაზის მეურნეობები შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ. გარკვეული რეზერვები აქაც არის, გაზის მიწოდება ჯერ კიდევ არ დაშვებულა ზღვრულად კრიტიკულ დონედან. სათბობის კომიტეტის სისტემის შრომითი კოლექტივები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მკვეთრად აცილების პირობებშიც კი მაქსიმალურად კმაყოფილდებოდეს მოსახლეობის მოთხოვნები გაზზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულებები.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხაინსტრუქციო წერილები ამ პრემიების მისანიჭებლად ნამუშევრების წარდგენისა და გაფორმების წესის შესახებ.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა პრემირებისათვის, აგრეთვე პრემიების განხილვასთან დაკავშირებული სახსრების გამოყოფა დაეკვალა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 1 მარტიდან. ამასთან დაკავშირებით წინათ მიღებული დადგენილებები ამ საკითხებზე ითვლება ძალადაკარგულად.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიები, შემდგომში „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიად“ წოდებული, მიენიჭებათ ცალკეულ პირებსა და კოლექტივებს:

სამეცნიერო გამოკვლევებისათვის, რომლებსაც უდიდესი ფესვლი შეაქვთ ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების განვითარების საქმეში, აჩქარებენ რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და ეროვნულ მეცნიერება და ტექნიკა გაპყავთ საკავშირო მიღწევათა დონეზე;

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებისას მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგებისათვის;

ახალი სახეობის ტექნიკის, მასალებისა და ტექნოლოგიის შექმნისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის, რომლებიც თავიანთი მაჩვენებლებით უტოლდებიან საკავშირო და მსოფლიოს საუკეთესო ანალოგებს და უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებასა და ეფექტიანობას, აგრეთვე რესურსების დამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნისა და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის;

სახალხო მოხმარების საქონლის ნარისხის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული უდიდესი წარმატებებისათვის;

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საშუალო ზოგადსაგანმანათლო ე ბ ლ ო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის მშობლიური ენაზე დაწერილი საუკეთესო სახელმძღვანელოებისათვის და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, რომლებმაც საზოგადოების აღიარება მოიპოვეს:

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს — მუშებს, კოლმეურნეებს, საინჟინრო-ტექნიკური დარგის მუშაკებს და სპეციალისტებს უდიდესი შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური წარმატებებისათვის.

(დასასრული მე-2 გვ.).

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

რესპუბლიკაში გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან:

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **კლიმენტი დავითის ძე კაკალიშვილი** — კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალი აბასთუმნის სხულუბნის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **ვასილ ვასილის ძე ფარცვანია** — კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

აჭარის რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ორთოპედიის განყოფილების გამგე **გურამ ნოშრევანის ძე დუმბაძე** — ხელოვნური ყბის რაიონის ახალშენის გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საფეიქრო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ნინელი ილიას ასული რატიანი** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი **ალექსი თეოდორეს ძე ბოცარიძე** — თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ორიონის“ გენერალური დირექტორი **იური სიმონის ძე მეიშვილი** — ამ გაერთიანების საბაზო ქარხანა „მართვის „სისტემების“ შრომითი კოლექტივისაგან.

მარტვილის რაიონის ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ზაურ ვლადიმერის ძე ქაჯალიშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის მარტვილის რაიკომის პირველი მდივანი **რევაზ ნესტორის ძე ნაჭყებია** — მარტვილის რაიონის მუხურჩის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბერუაულ არამის ძე ვოკორიანი** — ახალქალაქის რაიონის სოფელ ბეკანოს კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე **მათეოს მიხაილის ძე ხაარიანი** — ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ქ. ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **დავით უშანგიის ძე ლომაძე** — კოლმეურნეობის რწმენუბნელთა კრებისაგან.

თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის ინჟინერი **ტარიელ მიხეილის ძე ოლაძე** — საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებისაგან.

საქართველოს კომპარტიის ხონის რაიკომის პირველი მდივანი **მიხეილ მაქსიმეს ძე ჩხენკელი** — ქ. ხონის ჩაის საწონი ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს არამადნეული მასალების მოპოვებისა და გადამუშავების საწარმოს უფროსი **თენგიზ ივანეს ძე კახიძე** — გლდანის რაიონის სოფელ ლესიკინის რუსთაველის სახელობის აგროსამრეწველო კომბინატის მუშა **ლუსია ვარლამის ასული დარსალია** — კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **მირზა მიხეილის ძე ქორჭაშვილი** — წყალტუბოს საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან.

თბილისის № 3 სახლთსაშენებელი კომბინატის დირექტორი **დავით გაბრიელის ძე ჯობავა** — გლდანის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიულ-დარგთაშორისი ასოციაციის გამგეობის საერთო კრებისაგან.

ქარელის რაიონის აბანოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი **მერაბ ჭრიხტეფორეს ძე მიქელაძე** — ქარელის რაიონის აბანოს დოლომიტის მაღაროთსამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი **მანანა ალბოშას ასული თოდუა** — ზუგდიდის ქალთა რაიონული საბჭოსაგან.

(საქინფორმი).

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ

იყავით გულმოწყალენი!

რა ლამაზად ჟღერს იტალიურად — „ლა მიზერიკორდია...“. ქართული შესატყვისიც ჩამოქნილია და ჩამოძერწილი — „გულმოწყალება“.

„ლა მიზერიკორდიას“ საზოგადოება დაარსდა ფლორენციაში 1244 წელს და დაკავშირებულია წმინდა პეტრე წამებულის სახელთან. იტალიიდან იგი გავრცელდა ევროპასა და მერე მთელ მსოფლიოში. საქართველოს ისტორიის ქარიშხლიან დღეებს კარგად ახსოვს ეს სიტყვა; მეფე მირიანის, დავით აღმაშენებლის, თამარის და სხვათა და სხვათა ნამოქმედარი და ნამოღვაწეები გულმოწყალების სხივებით არის გაბრწყინებული. იტალიელ მისიონერთა შემართება საქართველოში, ქართული წიგნების ბეჭდვა რომში ამ დიდი და აუცილებელი საქმიანობის დადასტურებაა.

დღეს, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების სასიკეთო გარდატეხის ჟამს, ამ სიტყვამ ახალი ბრწყინვალება შეიძინა.

გულმოწყალებამ ერთი სევდიანი ამბავი გაგვახსენა: აკადემიკოს ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში ავღანეთის უსამართლო ომში დასახიჩრებული მეომრები მკურნალობდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა ახოვანი გარეგნობის ქართველი ვაჟკაცი, რომელსაც ომმა ორივე ხელი დააკარგვინა. 'ყოველდღე, დილიდან საღამომდე სასაცილო ამბებით ართობდა იგი საზარლად დაჩეხილ მეგობრებსა და მხოლოდ გვიან ღამით ესმოდა მის მეზობელს როგორ უხმოდ, მწარე, მამაკაცური ცრემლებით ტიროდა ქართველი კაცი... „პატარა, თმახუჭუჭა ბიჭი მეზრდება კახეთში, — გვითხრა საოცრად სევდიანმა, — მხოლოდ იმას ვფიქრობ, ხელში ვერ ავიყვან ვერასდროს...“

და მაინც გვჯერა, რომ სულ მალე დადგება დრო, როცა იტალიის „მიზერიკორდიას“ დახმარებით, ჩვენს თანამემამულეს დაუმზადებენ მსუბუქ პროთეზებს და მას მიეცემა საშუალება გულში ჩაიკრას მემკვიდრე...

გულმოწყალებამ უკვე იმედით სავსე დღეები მოუტანა იმათ, ვინც საჭიროებს ნუგეშს. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით მოსკოვის საპატრიარქოში ამ პრობლემების შესახებ გამართულ სიმპოზიუმზე, რომლის ინიციატორები იყვნენ საზოგადოება „მიზერიკორდია“, მოსკოვში აკრედიტებული ფირმა „იტალია-საბჭოთა ინიციატივები“, მოსკოვის საპატრიარქო და გულმოწყალების საზოგადოება. აქ ვესაუბრეთ საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო, რეაბილიტაციის და ფიზიკური თერაპიის სამეცნიერო ცენტრის განყოფილების გამგეს, გულმოწყალების საზოგადოების პრეზიდიუმის და „მიზერიკორდიას“ საპატიო წევრს გიორგი გიგინეიშვილს, რომლის პირადმა ინიციატივამ და ენერგიამ შესაძლებელი გახადა ამ კონტაქტების დაწყება, შემოქმედებითი კავშირის და იდეების განხორციელება... აქვე უნდა აღინიშნოს გ. გიგინეიშვილის განსაკუთრებული ღვაწლი იტალია-საქართველოს მრავალფეროვანი პროგრამის განხორციელებაში. გულმოწყალების დიდებულ აქტად შეიძლება ჩაითვალოს ფირმა „იტალია-საბჭოთა ინიციატივების“ და საქართველოს ს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები უნდა გამოქვეყნდეს არანაკლებ ერთი წლისა ადრე, ხოლო ახალი სახეობის ტექნიკა, მასალები და ტექნოლოგია ათვისებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობაში პრემიის მისანიჭებლად წარდგენამდე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მიენიჭებათ ყოველწლიურად შემდეგი ოდენობით: 2 პრემია — მეცნიერების დარგში, 2 პრემია — ტექნიკის დარგში, 2 პრემია — სახელმძღვანელოებისათვის, რომელთაგან 1 უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის და 1 — საშუალო სასწავლებლებისათვის, 1 პრემია — სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში და სახალხო მოხმარების საქონლის სახალხო მოხმარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობაში. თითოეული პრემიის ოდენობა 5 ათასი მანეთია.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად ნაშუშევრებს წარადგენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამეცნიერო სა-ზოგადოებების პრეზიდიუმები, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიები, გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების კრებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მასალას სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების შესახებ პრემიის მისანიჭებლად წარადგენს საქართველოს პროფესიული კავშირთა რესპუბლიკური საბჭო შესაბამის სამინისტროსა და უწყებასთან ერთად.

ნაშრომებს, რომლებიც ეხება სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას, პრემიის მისანიჭებლად წარადგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამმართველოსთან შეთანხმებით.

უმაღლესი, საშუალო სპეციალური, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ.

პრემიის მისანიჭებლად ნამუშევართა წარდგენა და კანდიდატების შერჩევა უნდა მიმდინარეობდეს თითოეული კანდიდატის ნამუშევრისა და შემოქმედებითი წვლილის შეფასების მიმართ მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით და საჯაროობის უზრუნველყოფით.

დაუშვებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად ნაშრომის წარდგენა, თუ მას მიღებული აქვს (ან წარდგენილია მოსაპოვებლად) ლენინური პრემია, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელობის პრემიები.

5. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ნამუშევრებისა და სახელმძღვანელოებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი კოლექტივის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 6 კაცს, ხოლო თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კოლექტივისა — 10 კაცს.

დაუშვებელია მაძიებელთა კოლექტივის შემადგენლობაში პირთა შეყვანა:

— მხოლოდ ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და კონსულტაციური ნიშნით;

— თუ ამ ნაშრომისათვის უკვე მიღებული აქვთ სახელმწიფო ჯილდოები;

— თუ სხვა ნაშრომისათვის წარდგენილნი არიან ლენინური პრემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის მოსაპოვებლად;

— თუ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ახალ წარმატებებს მიაღწია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია შეიძლება მიენიჭოს განმეორებით, მაგრამ წინა პრემიის მინიჭებიდან არაუადრეს 5 წლისა.

6. კოლექტივის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ ის პირები, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოს სს რესპუბლიკაში ან არ არიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, მაგრამ სამუშაო შეასრულეს საქართველოს სსრ ორგანიზაციებთან ერთად, მიღებული გეგმების და პროგრამების მიხედვით და პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი არიან ამავე ორგანიზაციების მიერ ამ დებულების მე-4 პუნქტის თანახმად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ნაშრომებს განიხილავს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, რომელთანაც ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ტექნიკის სამი მუდმივმქმედი სექცია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ნაშრომებს მიიღებს ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე, ხოლო მასალებს სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების და სახალხო მოხმარების საქონლის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული წარმატებების შესახებ პრემიის მინიჭების წლის 25 იანვრამდე.

ნამუშევართა წარდგენა და ბუნებრივი გაფორმება ხდება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საინსტრუქციო წერილის მიხედვით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ყველა წარდგენილ ნამუშევარს და დაუგზავნის მათ განსახილველად თავის სექციებს. სექციების მიერ ამ ნამუშევრების შესწავლის მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი 10 ნოემბრამდე ღია კენჭისყრით მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრის საკონკურსოდ დაშვების შესახებ.

შენიშვნა:

ნამუშევრები, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საკონკურსოდ არ დაუშვა, არ შეიძლება წარდგენილი იქნეს განმეორებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად, თუ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილებით დათქმული არ არის სხვა პირობა.

9. საკონკურსოდ დაშვებული ნაშრომების, მათი ავტორებისა და წარდგენილი ორგანიზაციების სიები, მათი ფართო საზოგადოებრივი განხილვის მიზნით, საქინფორმის საშუალებით ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად საკონკურსოდ წარდგენილი ნაშრომები ფართოდ და ყოველმხრივ უნდა იქნეს განხილული პრესაში, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების სხდომებზე, შრომითი კოლექტივების კრებებზე. განხილვას უნდა მიეცეს დისკუსიური ხასიათი, ნათლად უნდა გამომჟღავნდეს საზოგადოებრიობის აზრი და შეფასებანი.

განხილვა უნდა წარმართონ გაზეთების და ჟურნალების რედაქტორებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. განხილვის მასალები, შეფასებები, რეცენზიები, შენიშვნები და წინადადებები უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს არა უგვიანეს პრემიების მინიჭების წლის 1 თებერვლისა.

11. გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს პრემიის მინიჭების წლის 15 თებერვლამდე.

12. გადაწყვეტილებას სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი თავისი მოღვაწეობის მიზნის შესაბამისად:

ა) ცნობილ მეცნიერებს, სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს უგზავნის უწყებებს თხოვნით, აცნობონ კომიტეტს ყველა იმ მნიშვნელოვანი ნაშრომისა და მათი ავტორების შესახებ, რომლებიც იმსახურებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიას. სიას იმ მეცნიერებისა, სპეციალისტებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც ეგზავნებათ უწყებები, ამტკიცებს კომიტეტის პრეზიდიუმი;

ბ) იღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ნაშრომებს და აწყობს მათს წინასწარ განხილვას. არჩევს მათგან ყველაზე ღირსეულებს, რომლებიც პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, აქვეყნებს საკონკურსოდ შერჩეული ნაშრომების სიას რესპუბლიკურ ცენტრალურ პრესაში და აწყობს მათს საჯარო განხილვას;

გ) განიხილავს საკონკურსოდ დაშვებულ ნაშრომებს, აანალიზებს მათ გამო მიღებულ წინადადებებს და შენიშვნებს. განხილვას ყველა დონეზე უზრუნველყოფს შემოქმედებითი დისკუსიის, მაღალი მომთხოვნელობებისა და პრინციპულობის ვითარებაში. ამასთან გულდასმით და ყოველმხრივ ამოწმებს მიღებული შედეგებისა და დასკვნების დამაჯერებლობას, მათ მეცნიერულ დასაბუთებულობას, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) აფორმებს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა დიპლომებსა და სამკერდე ნიშნებს და საზეიმო ვითარებაში გადასცემს ლაურეატებს;

ე) უხდის ლაურეატებს პრემიის ფულად ნაწილს.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი 11(9) კაცის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში უდგას თავმჯდომარე. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი შედგება საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ტექნიკის სექციებისაგან, თითოეული არა უმეტეს 21 წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომებს შორის მუშაობს მისი პრეზიდიუმი, რომელსაც ირჩევენ კომიტეტის წევრთა ღია კენჭისყრით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სექციები:

ა) წარმოდგენილი ნამუშევრების წინასწარ განსახილველად და რეკომენდაციების მისაღებად შეარჩევენ და დაამტკიცებენ რეცენზენტებს და ქმნიან საექსპერტო კომისიებს ცალკეული დარგების მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომს განხილვისათვის უგზავნიან მეცნიერებათა აკადემიას, სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სამეცნიერო საბჭოებს, ინდივიდუალურ სპეციალისტებს, ეროვნულ ეკონომიკურ საბჭოებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებსა და ეროვნულ ეკონომიკურ ბიბლიოთეკ

ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ სამსახური უმაღლესი და უწმინდესი იდეალი იყო იაკობ გოგებაშვილისათვის. „პატრიოტული გრძნობა და მეცნიერული განათლება, — აი, ის უმაღლესი საგანი, რომელსაც სიტყვით, საქმით, მთელი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობით ემსახურებოდა დიდებული მამულიშვილი", — აღნიშნავდა თავის მოგონებებში ნიკო ლომოური იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

ბიუროკრატიული რუსეთის აღვირახსნილი აგენტებისაგან თავგანაბეზრებულმა ჯანმრთელობადასუსტებულმა, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის მქონე იაკობმა 1873 წელს ცეცხლს მისცა სემინარიის ატესტატი, აკადემიის მოწმობა და სხვა საბუთები, რომ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულიყო. მტკიცედ გადაწყვიტა, მთელი სიცოცხლე, ძალა და ენერგია ქვეყნის აღმავლობისთვის მოეხმარებინა, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის შეეწირა.

იაკობ გოგებაშვილი-ილია ჭავჭავაძის მსგავსად საქართველოს ხსნას მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში ხედავდა. დიდ პედაგოგს ჭეშმარიტ პატრიოტად მიაჩნდა ის, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგადადებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უბარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურობით და ვინც მზად არის ღიმილით შეწიროს მას თავისი სიცოცხლე".

ილიასავით დიოგენის ფარნით დაეძებდა იაკობ გოგებაშვილი ჭეშმარიტ მამულიშვილს და სინანულს გრძნობით აღნიშნავდა, რომ გარიბალდისნაირი პატრიოტები არა თუ მოიპოვებიან ჩვენში, არამედ ღიმედ ღირსეული მოწაფეებიც არ გამოუჩნდნენო. იაკობს ღრმად სწამდა, რომ თვითმპყრობელური რუსეთის მარწუხებში მოქცეულ საქართველოში აღარ არსებობდა ნიადაგი პატრიოტული გრძნობების აღმოცენებისათვის. მისი აზრით, ყველა დამორჩილებულ-დამონებულ სახელმწიფოში შეჩერებულია „აღმაფრენა და თავისუფალი განვითარება... ერის გენიისა".

იგი დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის ბედნიერება ერთგული მამულიშვილების სიმრავლეზეა დამოკიდებული. ამასთან, რთულ საქმედ მიაჩნდა მამულის ჭეშმარიტი სიყვარულის მაღალი გრძნობებით ახალგაზრდობის აღზრდა და საყვედურს გამოთქვამდა იმათ მიმართ, ვინც ამბობდა — ეს გრძნობა ადამიანს დედის მუცლიდან დაჰყვებაო. „ეს რომ მართალი ყოფილიყო, — წერს იაკობ გოგებაშვილი,— დედამიწის ზურგზედ უბედურს კუთხეს სანთლითაც ვეღარ იპოვიდით; ყოველი ქვეყანა, დიდი თუ პატარა, მამულიშვილობით, სამშობლოს სიყვარულით და კეთილდღეობით სავსე იქნებოდა... პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ".

იაკობ გოგებაშვილს ეამაყებოდა ქართველთა დიდებულნოვნება, რომელთათვისაც ოდითგან უცხოა საკუთარი ბედნიერების სხვის უბედურებაზე აგება

ცდაც კი, სხვისი დათრგუნვითა და დამცირებით საკუთარი თავის ამაღლება, რაც ცივილიზებული ერების მთავარ ნიშნთვისებას წარმოადგენს. „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასიათისაა, — წერდა იაკობ გოგებაშვილი, — იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისასა. ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზე არ არის გაგლეპული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხის დამონებისათვის, არამედ თავისი საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათი დამცირებით ჩვენი თავი აღვამაღლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა".

დიდ პედაგოგს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ქართველ ხალხს დასავლეთიდან მიეღო განათლება და გადმოეტანა საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი. ამისათვის კი საჭირო იყო უწინდებურად აღდგენილიყო სამი მთავარი ეროვნული პირობა — „თვით-მდგომარე ეკლესია, მასზე მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული ოჯახი და დამოუკიდებელი სკოლა". აქედან გამომდინარე იაკობ გოგებაშვილი მტკიცედ და სამართლიანად შთაგონებდა ქართველ საზოგადოებას: „...წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ სათესად წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიურის სფერებიდგან".

ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ქვეყნის წინსვლისათვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად იაკობ გოგებაშვილს ინტელიგენციისა და მასების მჭიდრო სულიერი კავშირი მიაჩნდა, რომელსაც განამტკიცებდა და გააძლიერებდა ხალხური ენის, ეროვნული ლიტერატურის, სამშობლო ქვეყნის ტერიტორიისა და ისტორიის შესწავლა.

იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა ევროპის მოწინავე სკოლების მსგავსად საფუძველი ჩაყოროდა ქართულ სკოლასაც, სადაც დედაენის, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლას უპირველესი ადგილი დაეთმობოდა. ამ მხრივ პირველ რიგში ახალგახდა სასულიერო პირთა განათლება მიაჩნდა აუცილებლად, ვინაიდან „არა წოდებას აქვს ისეთი დაახლოებითი კავშირი ხალხთან, როგორც სასულიერისა... თუ მოძღვარი შეკავშირებულია ერთან მისის წარსულის და აწდგომის ცოდნით, მისი ენისა და ლიტერატურის შეთვისებით და აღზრდილი აქვს გულში სიყვარული და პატივისცემა თავის ხალხისა, ღმერთმა თქვენ ნუ მოგაკლოთ ის სიკეთე, ის ნუგეში, ის შვება და ღხენა, რომელსაც იგი ხალხში მოჰფენს". ამისათვის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში უნდა დაარსდეს ქართული ენის კათედრები, რომლებიც შემდეგ დისციპლინებს უნდა აერთიანებდნენო: ქართულს ვრცელს გრამატიკას, ჩვენს სასულიერო და საერო ლიტერატურას, საქართველოს ვრცელ გეოგრაფიას, ჩვენი ქვეყნის საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას და სხვა, „მაგრამ მარტო ქართულის კათედრის დაარსებით საქმე ვერ გასწორდება. ეს ცვლილება მხოლოდ შეამცირებს ბოროტებასა, მაგრამ მის მოსპობას კი ვერ შეიძლებს, — წერს იაკობ გოგებაშვილი და იქვე განაგრძობს, — ნამდვილის სასულიერო მწყემსების აღზრდას ქართველის ხალხისათვის მხოლოდ მაშინ მოვესწრებით, როდესაც სასულიერო სასწავლებლებში დაწესდება სწავლება ყველა საგნებისა ქართულს ენაზედ, რუსული ენა ისწავლება როგორც ცალკე საგანი, ხოლო სემინარიაში სწავლება ნახევარი წლის საგნებსენიებდა იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხი მტკიცედ იცავდა კანონით მინიჭებულ თავისუფლებას. როცა ყოველი ჯერის მომხდომის გესლიანი მახვილი გამხმარი ტოტებივით ილეწებოდა თავისუფლებისმოყვარე ივერთა ფარებზე.

დიდი პატრიოტი იაკობ გოგებაშვილი ქართველობისაგან ითხოვდა, რომ გულმხურვალე მამულშვილობა გამოეჩინათ და წვრილმან პრობლემებს კი არ დადაჰყოლოდნენ, არამედ წინ აღდგომოდნენ ერის დამხობის უმთავრეს მიზეზებს. „ყველაზე სავალალო ის არის, რომ ამ ნაცარ-ქექიობას და ჩხირ-კედელაობას დიდს საქმეთა ვსთვლით, დაუფასებელ ღვაწლადა ვრაცთ სამშობლოს წინაშე", — წუხდა დიდი ერისკაცი, წუხდა იმიტომ, რომ ამის მოთმენა მავნებლობად მიაჩნდა ერის მომავლის წინაშე.

იგი ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი იყო, ამ უკანასკნელს ხალხთა განათლების, ცივილიზაციის დამთრგუნველ სენად თვლიდა. იაკობ გოგებაშვილს მხედველობაში ჰქონდა ბიუროკრატიული რუსეთის შოვინისტური მისწრაფებები მცირე ერების გარუსება-გადაგვარების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ჰენრი თომას ბოკლის ფუნდამენტურ თხზულებას — „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში", რომლის პირველი რუსული თარგმანი 1864 წელს პეტერბურგში გამოიცა.

ბოკლი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ნაკლებადგანვითარებული ქვეყნები მიმართავენ ხოლმე სხვა ქვეყნების მიმართ ძალადობას, იარაღს და რაც უფრო ფართოვდება. ამა თუ იმ ხალხის გონებრივი პოტენციალი, შესაბამისად მცირდება ომებისადმი, ძალადობისადმი მათი მიდრეკილება.

აქედან გამომდინარე, იაკობ გოგებაშვილი, ქვეყნის ბედნიერების ძირითად საყრდენად ხალხის განათლებას მიიჩნევდა და ქართველ საზოგადოებას მიმართავდა, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ სკოლების განვითარებისათვის.

დიდი პედაგოგი, განმანათლებელი და მოღვაწე ძალას და ენერგიას არ იშურებდა მშობლიური ერის ნათელი მომავლისათვის, მისი ყოველი დღე სამშობლოსათვის ფიქრში თენდებოდა და ღამდებოდა, თვითონვე იყო მაგალითი ჭეშმარიტი პატრიოტისა, რომელსაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლის უმთავრეს საგნად სამშობლოს ბედნიერება, მისთვის თვით სიცოცხლის ღიმილით შეწირვა მიაჩნდა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲝᲪᲕᲐᲫᲔ.

• • •

ავტორის თხოვნით პონორარი გადაირიცხება დემოკრატიულ ფონდში.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ომიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მივაშურე და მაშინდელ მინისტრს, პატივცემულ ვიქტორ კუპრაძეს ვთხოვე, რომ სადმე სამუშაოდ გავეშვი. მან ღიმილით შემომხედა და მითხრა:

— ფრონტზე დიდ პატრიოტულ საქმეს ემსახურებოდი, ამჟამადაც არანაკლებ პატრიოტულ საქმეს გთავაზობ: ჩრდილოეთ ოსეთში, ქალაქ ორჯონიკიძის ქართულ სამუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აკლიათ. ქართველ ყმაწვილებს ერთ თვეზე მეტია გაკვეთილები უცდებათ. იქნებ წახვიდე იქ, ბიჭას სკოლაშივე მოგცემენ. რას იტყვი, წახვალ?

— დიდი სიამოვნებით. მე იმ სკოლაში ქალაქ თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლამდეც ვმუშაობდი დაწყებითი კლასების მასწავლებლად. მით უმეტეს ყოფილი კავკავი გაცილებით ახლოა მშობლიურ რაჭასთან, ვიდრე თბილისი-მეთქი. ამ ისტორიულ სკოლაში 35 წელი ვუნერგავდი ქართველ ყმაწვილებს — ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულს და მთელი გულით ვცდილობდი არ შემერცხვინა სკოლის სახელოვან დამფუძნებელთა სახელი.

კავკავის ქართულ სკოლასთან არსებობდა ქართული ეკლესია, რომლის საქმიანობას საუცხოოდ უძღვებოდა მოვდელი გიორგი ნათაძე. სკოლასთან არსებობდა ქართული სახალხო თეატრი, სადაც ადგილობრივი ძალებით საღამოწარმოდგენები იმართებოდა. აღნიშნული თეატრის ხშირი სტუმრები ყოფილან ქართველი მსახიობები, მათ შორის ცნობილი ქართველი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი. აქვე იყო ჭრაკერვის სკოლა და ქართველთა ბანკი, რომელთა შემოსავლის ნაწილი ქართულ სკოლას ხმარდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნულ სკოლაში 14 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე, რომლის სახელი მართლაც ქუხდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში.

შოვინისტური სულით გაჟღენთილი რუსი მოხელეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული სკოლა გაეუქმებინათ. ამ მიზნით რუსული ენის სწავლების შესამოწმებლად და რაიმე ხარვეზის აღმოსაჩენად სკოლაში ხშირად გზავნიდნენ კომისიებს, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ლუარსაბ ბოცვაძის ბრწყინვალე კაკვეთილები ვერაფერ საბაბს აძლევდა.

კავკავის ქართული სკოლის დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სასწავლებელში ქართველებს გარდა სწავლობდნენ ოსები, სომხები, რუსები და სხვები.

ერთხელ, სექტემბრის დამდეგს, ქრისტ გლეხს თავისი სამი ვაჟი მიუყვანია ლუარსაბ ბოცვაძესთან და მოწიწებით მიუმართავს:

— ბატონო მასწავლებელო, თქვენმა სახელმა და თქვენი ქართული სკოლის დიდებამ ჩვენს აულამდეც მოაღწია. აი, მოვედი და მოგიყვანე ჩემი სამი შვილი. მინდა მათ ლამაზი ქართული ენა ასწავლოთ.

ლუარსაბს, რა თქმა უნდა, მიეღო ბიჭები.

კავკავის ქართულ სკოლასთან დაახლოებული ყოფილა მიხეილ ყიფიანის გულითადი მეგობარი, ოსეთის საამაყო შვილი, პოეტი კოსტა ხეთაგუროვი. იგი მთელი გრძნობით უკითხავდა თურმე თავის ლექსებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

კოსტა ხეთაგუროვისა და მიხეილ ყიფიანის განუყრელ მეგობრობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხეთაგუროვმა ლექსით დაიტირა თავისი მეგობარი: „მოკვდა! ამ სიტყვამ უსაზღვრო სევდით და მწუხარებით გული აავსო, ზარდაცემული ამ მწარე ხვედრით მოსთქვამ და სტირი, ჩემო კავკასო! დაჰკარგე შვილი შენ ღირსეული, მოკრძალებული, დინჯი ქართველი, შენი აზრის და ფიქრის რჩეული, კეთილშობილი გამომხატველი!"

მახსოვს, 1940 წლის მიწურულს მოსწავლეთა რიცხვმა რვაასს გადაჰკარბა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდმა სამამულო ომმა ქართული კულტურისა და განათლების კერას ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი დაღი დაასვა — ქართული სკოლა დაიკეტა, შენობა სამხედრო ჰოსპიტალმა დაიკავა.

ომის დამთავრების შემდეგ, როცა ქართულ სკოლაში გამოვცხადდი, იქ სამხედრო ჰოსპიტალი აღარ იყო, სამაგიეროდ, რესპუბლიკის საბუღალტრო სკოლას დაედო ბინა. იძულებული გავხდით ზემდგომი ორგანოები ჩაგვერია, რის შემდეგაც, ისევ გვეღირსა ისტორიული სკოლის შენობის დაბრუნება. რა სიხარულითა და ენერგიულით მივაცურებდით ქართველთა თოვლზე სასწავლო მერხებსა და სასკოლო ავეჯს...

ომის შემდგომ მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულიყო.

ეს ის დრო იყო, როცა ხრუშჩოვის შოვინისტური პოლიტიკის შედეგად ოსურმა სკოლებმა არსებობა შესწყვიტეს, სწავლება რუსულენოვანი გახდა. დადგა ქართული სკოლის ყოფნა-არყოფნის საკითხიც.

როცა პარტიის საოლქო კომიტეტიდან მოსულმა დირექტორმა სოფიო ელიაშვილმა ეს ამბავი მასწავლებლებს გვამცნო, თავზარი დაგვეცა. ქართული სკოლა მეფის ხელისუფლების დროს არსებობდა და ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს უნდა გამქრალიყო?!

გადავწყვიტეთ სკოლის დირექტორს საქართველოს სსრ განათლების მინისტრისათვის ეთხოვა დახმარება. ასეც მოვიქეცით.

სამინისტროს მოწადინებით ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა დათმო და ქართული სკოლა კვლავ აღორძინდა.

ჩვენი მშობლიური ორჯონიკიძის საუკუნოვანი მე-19 ქართული საშუალო სკოლა ოსეთის მიწაზე დღესაც მარტო ცოდნის კი არა, ძმობისა და მეგობრობის ჩირაღდნადაც ანთია.

ᲗᲐᲚᲖᲐ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო უშვებს 1990 წლის სახელმწიფო შინაგან 5-პროცენტიან სესხს, რომელიც ნებაყოფლობის საწყისებზე გავრცელდება სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმო-ორგანიზაციებსა და საკერძო დაწესებულებებს შორის. ამ სესხის შესაძენი ობლიგაციების ანაზღაურება ხდება საწარმო-ორგანიზაციათა განკარგულებაში დარჩენილი ფულადი სახსრების ხარჯზე. მათი შემოსავალი შედის ობლიგაციების მფლობელ საწარმო-ორგანიზაციათა მოგების (შემოსავლის) საერთო თანხაში. ტარაფში გასული ობლიგაციებისათვის მაჩს მფლობელებს მიეცემათ ობლიგაციების ნომინალური ღირებულება, რომელიც ჩაირიცხება იმ სახსრების ანგარიშზე, რომლებითაც შეიძინეს იგი.

1990 წლის სახელმწიფო შინაგანი 5-პროცენტიანი სესხის გამოშვების სხვა პირობები ქვემოთ ქვეყნდება.

1990 წლის სახელმწიფო შინაგანი 5-პროცენტიანი სესხის გამოშვების პირობები

1. 1990 წლის სახელმწიფოს შინაგანი 5-პროცენტიანი სესხი გამოდის 16 წლის ვადით — 1990 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე 1.000.000, 100 000, 50 000, 25 000, 10 000 მანეთი ღირებულების ობლიგაციებით.

სესხი გამოდის ცალკე თანრიგებად თითოეულ თანრიგში 5—5 მილიარდი მანეთის ოდენობით. ყოველ თანრიგში შედის მილიონი მანეთი ღირებულების 2 ათასი ობლიგაცია, 100 ათასი მანეთი ღირებულების 7,5 ათასი ობლიგაცია, 50 ათასი მანეთი ღირებულების 15 ათასი ობლიგაცია, 25 ათასი მანეთი ღირებულების 30 ათასი ობლიგაცია და 10 ათასი მანეთი ღირებულების 75 ათასი ობლიგაცია.

2. სესხის ობლიგაციების შემოსავალს იხდიან ბანკის დაწესებულებანი უნაღდო წესით ობლიგაციების კუპონების მიხედვით წელიწადში ერთჯერ ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით. ობლიგაციისაგან გამოცალკევებული კუპონი არ იძლევა შემოსავლის მიღების უფლებას. კუპონების ანაზღაურების ვადა დგება ყოველი წლის 1 იანვრიდან — 1991 წლის 1 იანვრიდან დაწყებული.

3. სესხის ობლიგაციებს უშვებენ ბანკის დაწესებულებანი 1996 წლის 1 იანვრიდან 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად თანაბარ ნაწილებად.

4. სესხის ობლიგაციები, რომლებიც ბანკის დაწესებულებებმა უნდა გამოისყიდონ 1996-2005 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით, რომლებიც ეწყობა ყოველი წლის დეკემბერში, 1995 წლიდან დაწყებული. დაფარვის ტირაჟში გაუსვლელი ობლიგაციების გამოსყიდვა დაიწყება 2006 წლის 1 იანვრიდან.

5. სესხის ობლიგაციების გამოსყიდვისას ბანკის დაწესებულებანი მფლობელებს უხდიან ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას.

6. დაფარვის ტირაჟში გასულ სესხის ობლიგაციებზე ნაზღაურდება მათი ნომინალური ღირებულება და კუპონები, იმ წლის კუპონის ჩითვლით, რომელშიც უნდა გამოისყიდონ ობლიგაცია. მომდევნო წლების კუპონები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

7. ობლიგაციები და მათი კუპონები, რომელთა ანაზღაურების ვადა დამდგარია, შეიძლება წარდგენილ იქნეს ასანაზღაურებლად 2007 წლის 1 იანვრამდე; ამ ვადის გასვლის შემდეგ ასანაზღაურებლად წარდგენილი ობლიგაციები და კუპონები ძალადაკარგულია და აღარ ანაზღაურდება.

8. სესხის ობლიგაციებს ყიდიან ბანკის დაწესებულებანი. აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვისას წარმოებს მათი რეგისტრაცია.

9. სესხის ობლიგაციების რეალიზაციის დროს გადახდევინებულ იქნება საკურსო სხვაობა, რომლის ოდენობა წლის განმავლობაში ობლიგაციათა შეძენის დროზეა დამოკიდებული და რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის სახბანკთან შეთანხმებით.

10. სესხის ობლიგაციის მფლობელებს შეუძლიათ ბანკის დაწესებულებათა მეშვეობით მიჰყიდონ ობლიგაციები სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებებს.

ᲣᲙᲘᲠᲘᲥᲝᲕᲘᲩᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ

● ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲨᲔᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ. **ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი ეროვნულ საკითხზე, რომელიც ქვეყნის თურქულენოვანი და მუსლიმანური მოსახლეობის კონსტიტუციურ უფლებათა აღდგენას ეხება, კვლავინდებურად იწვევს არაერთმნიშვნელოვან რეაქციას.**

არ ცხრება მიტინგები ბულგარეთის დედაქალაქში. ამ გადაწყვეტილებებით დიდად უკმაყოფილო ათიათასზე მეტი კაცი მოვიდა აქ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, რათა განაცხადოს, რომ ისინი ნაჩქარევად არის მიღებული და არ შეესაბამება ფართო მასების აზრს. გამოსვლებში კვლავ და კვლავ გაისმის პოზიციათა შეურიგებლობა, რაც ქვეყანაში ვითარებას განსაკუთრებით ძაბავს.

ეროვნული საკითხი სამშობლოდან ფულადად გადაიქცა — ბულგარეთის საზოგადოების შიგნით პოლარიზაციამ და კონფრონტაციამ ზღვარს მიაღწია, რომლის იქით მოვლენები განუკვრეტელი გახდება, აღნიშნულია სოფიაში გამართულ მიტინგზე გავრცელებულ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების ხელმძღვანელობის მიმართვაში. ახლა განსაკუთრებით საჭიროა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, თავშეკავება, მზადყოფნა კონსტრუქციული დიალოგისათვის

თითოეული ჩვენ[illegible]განისათვის ესოდენ სასურველი ღირებულებების — დემოკრატიის, სიმშვიდისა და უშიშროების მისაღწევად.

მუშაობა დაიწყო სახალხო კრების ხელმძღვანელობის წინადადებით მოწვეულმა საზოგადოებრივმა საბჭომ ეროვნული საკითხის სხვადასხვა ასპექტის განსახილველად. იგი 12 იანვრამდე გასტანს. მასში მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ მიტინგზე არჩეული ბულგარეთის მოსახლეობის, მის ორგანიზაციაში მონაწილე ოლქების საინიციატივო კომიტეტების, თურქულენოვანი და მუსლიმანური მოსახლეობის წარმომადგენლები, სახალხო კრების საპარლამენტო ჯგუფებისა და კრების ყველა მუდმივი კომისიის ხელმძღვანელობა, თვალსაჩინო უპარტიო საზოგადოებრივი მუშაკები, ბულგარეთის პატრიარქი და მთავარი მუფთი.

ქვეყანაში მდგომარეობის განვითარების გამო შეშფოთება გაი-

ᲔᲜᲢᲝᲜᲘ ᲙᲣᲘᲜᲘ—ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ამერიკელი მსახიობის ენტონი კუინის ბევრმა თაყვანისმცემელმა, ალბათ, არც იცის, რომ იგი ხეზე და ქვაზე კვეთის საუცხოო ოსტატია. 12 წლიდან კუინი ლოს-ანჯელესის ხასაფლაოზე მუშაობდა — ჯვრებსა და საფლავის ქვებს აკანდაკებდა. შესაძლოა, ასევე გააგრძელებდა ამ საქმიანობას, რომ ერთხელ არ გაებედნა და მონაწილეობა არ მიეღო მოქანდაკეთა კონკურსში, რომელშიც მისთვის მოულოდნელად გაიმარჯვა.

ახლა, ფილმში — „მოხუცი და ზღვა" — გადაღების შემდეგ ენტონი კუინი იტალიაშია, სადაც თავის პერსონალურ გამოფენაზე მუშაობს, რომელიც მალე გაიხსნება ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 150 ნამუშევარი, რომლებიც 7.500 დოლარიდან 250.000 დოლარამდეა შეფასებული. „ვწუხვარ, რომ ეგზომ ბევრი დრო დავხარჯე გადაღებებზე, — გულწრფელად აღიარა ე. კუინმა, — მშვიდად ვარ მხოლოდ საკრეთლით ხელში".

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ენტონი კუინი პერსონალური გამოფენისათვის ემზადება.

ᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

● ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ?

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. **ჩინეთი კვლავაც გააღრმავებს ეკონომიკური სისტემის რეფორმას ეკონომიკის რეგულირების პირობებში. ეს განაცხადეს აქ დამთავრებულ სრულიად ჩინეთის თათბირზე, რომელიც ეკონომიკური მშენებლობის საკითხებს მიეძღვნა.**

მომდინარე წლის გაზაფხულზაფხულში ჩინეთში მომხდარი ცნობილი ამბებისა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო ორი პლენუმის შემდეგ, რომლებმაც დაადასტურეს სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებისა და ჩინეთის ეკონომიკაში წესრიგის დამყარების გეზი, მთელ რიგ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა დასავლეთში, შეიქმნა ჯერი, რომ რეფორმა ჩინეთში იკვეცება, ქვეყანა კი უბრუნდება მკაცრი დაგეგმვისა და ცენტრალიზაციის წინანდელ მეთოდებს. თათბირზე გამოსულმა ეკონომიკური სისტემის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზე - გუანხუეიმ უარყო ეს გამონათქვამები. მან განაცხადა, რომ შემუშავებული რეფორმის განგრძობის კონკრეტული მიმართულებანი. მათ, კერძოდ, განეკუთვნება ფართო გარდაქმნების განგრძობა 14 მსხვილ ქალაქში, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დარგში პროვინციის სტატუსით სარგებლობენ. რეფორმა ქალაქებში უახლოესი ორი წლის მანძილზე ფოკუსირებული იქნება სამრეწველო საწარმოების საქმიანობის — მართვის, საბაზრო რეგულირების, მოგების ანარიცხების, საგადასახადო პოლიტიკის სისტემის შემდგომ სრულყოფაზე.

● ᲞᲐᲜᲐᲛᲐ

ᲞᲔᲠᲣᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ ᲐᲚᲯᲐᲨᲘ

ᲞᲐᲜᲐᲛᲐ. **ამერიკის ჯარებმა ალყა შემოარტყეს პანამაში პერუს ელჩის რეზიდენციას, სადაც, ამერიკის შეერთებული შტატების ცნობების თანახმად, იმალება პანამის ყოფილი ხელმძღვანელის მანუელ ანტონიო ნორიეგას ზოგიერთი მაღალი თანამდებობის თანამზრახველნი.**

ის, რომ შენობაში თავშესაფარი ბოვეს ნორიეგას ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, განაცხადა პანამის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხულიო ლინარესმაც. დღემდე ეს ოფიციალურად არ დაუდასტურებია პერუს მხარეს.



● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲓᲔᲚᲘ. **ჯამუა და ჯაშმირის შტატის მთავრობამ დააწესა კომენდანტის საათი ქალაქ სრინაგარში, სადაც მოხდა ახალი სისხლისმღვრელი შეტაკებანი უშიშროების ძალებსა და პაკისტანის მუსლიმანური დაჯგუფებების მომხრეებს შორის.**

როგორც გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი" წერს, უწესრიგობანი მოხდა სეპარატისტთა მიერ შტატში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით მოწყობილი გაფიცვის დროს. სრინაგარის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში მოხულიგნე არამუსლიმების ბრბო მოულოდნელად

ᲔᲜᲢᲝᲜᲘ ᲙᲣᲘᲜᲘ—ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ამერიკელი მსახიობის ენტონი კუინის ბევრმა თაყვანისმცემელმა, ალბათ, არც იცის, რომ იგი ხეზე და ქვაზე კვეთის საუცხოო ოსტატია. 12 წლიდან კუინი ლოს-ანჯელესის ხასაფლაოზე მუშაობდა — ჯვრებსა და საფლავის ქვებს აკანდაკებდა. შესაძლოა, ასევე გააგრძელებდა ამ საქმიანობას, რომ ერთხელ არ გაებედნა და მონაწილეობა არ მიეღო მოქანდაკეთა კონკურსში, რომელშიც მისთვის მოულოდნელ

დემოკრატიის გაკვეთილები

დისკუსიიდან—საქმეზე

უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია, ასპინძის საბავშვო სახლისადმი შეფობის პრობლემები — ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკურ-ინსტიტუტის სტუდენტური სადისკუსიო კლუბის ერთ-ერთი სხდომის დღის წესრიგი. იგი მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს კლუბის საქმიანობის ხასიათსა და მისი შექმნის მიზანს — წარმართოს ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა კონკრეტული საქმეების კალაპოტით.

სადისკუსიო კლუბი ინსტიტუტში ცოტა ხნის წინათ შეიქმნა. აქ სტუდენტებისათვის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების განხილვა უკავშირდება გარდაქმნაში ახალგაზრდა თაობის როლის გააზრებას, მის მისწრაფებას მონაწილეობდეს უმაღლესი სკოლის რეფორმაში, სტუდენტობის პროფესიული და სოციალური ინტერესების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში.

დისკუსიებში მონაწილეობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები. ესენი არიან სახალხო ფრონტის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, სხვადასხვა არაფორმალური გაერთიანების წევრები. და თუ თავიდან აქ გაჩაღებულ კამათში ჭარბობდა ემოციები, დღეს იგრძნობა მეტი კონსტრუქტივიზმი.

სტუდენტები სერიოზულად არიან შემფოთებული მათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების დონის, პროგრამის არასრულყოფილების, ზოგიერთი ლექტორის არაკომპეტენტურობის, ქართულ ენაზე კარგი ხარისხის სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. ამიტომ ისინი დიდად არიან დაინტერესებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკურ უნივერსიტეტად გარდაქმნასთან დაკავშირებული ცვლილებებით. ამ საქმეში მათ კონკრეტული მონაწილეობა გამოიხატება მასწავლებელთა შეძლებისდაგვარი დახმარებით ქართულ ენაზე სასწავლო სახელმძღვანელოთა მომზადებაში. ეს მუშაობა გაშლილია ყველა კათედრაზე.

ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია განუყოფლად უკავშირდება ეროვნული კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გადიდებას. საგანმანათლებლო მიზნებით აპირებენ შეზვედრებს მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, აგრეთვე ექსპედიციების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა რაიონში არქიტექტურული ძეგლების აღდგენისათვის. ორი ასეთი სტუდენტური ექსპედიცია უკვე მუშაობდა ამ ზაფხულს მესხეთში, კერძოდ, ახალციხის რაიონში საფარის სამონასტრო კომპლექსის აღდგენაზე.

მაგრამ მარტო ძეგლები როდია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სადისკუსიო კლუბის შეფობის ობიექტი. როგორც იმავე დღის წესრიგიდან ჩანს, ასპინძის საბავშვო სახლი მალე ახალ მეგობრებს შეიძენს.

ამჟამად სადისკუსიო კლუბი ემზადება უმაღლესი სასწავლებლის პროფკომში სტუდენტების პარიტეტული წარმომადგენლობის შესახებ. ავლენენ საზრიან ინიციატივებს ახალგაზრდებს, რომლებსაც შეუძლიათ პრინციპულად დაიცვან თავიანთი ამბანაგების ინტერესები, აქვთ მკაფიო პოზიცია პროფკავშირული წინამძღოლის ამპლუაში თავიანთი საქმიანობის თაობაზე.

ი. გაგუნია,
საქინფორმის კორ.

ქვეღმოქმედება

კაცი, რომელიც სიკეთეს თესავს

ეს სიკეთემ, რაც მხცოვანმა მწერალმა, ბატონმა კიტა ბუაჩიძემ ჩემს მიმართ გამოიჩინა (თუმცა მისი ქველმოქმედების ამბავი ადრეც მსმენოდა), უდიდესი მადლიერებით ამივსო გული.

ახლახან, დეკემბერში უბედურება დამატყდა თავს — გარდმეცვალა სიძე —27 წლის ვაკაცი, ორი მცირეწლოვანი ბავშვის მამა. დაქვრივებული ქალიშვილი და დაობლებული შვილიშვილები ჩემთან გადმოვიყვანე საცხოვრებლად. ჩემი ოჯახის სულადობამ 10 კაცს მიაღწია. ძალღონე მერჩის, როგორც შეიძლება ისე გავუძღვები ოჯახს, მაგრამ დღევანდელ პირობებში, მოგეხსენებთ, რა ძნელია თავის ჩრჩენა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გაჭირვებაში მარტო არ ვყოფილვარ.

ახალი წლის წინა დღეებში წერილი გადმომცეს. აი ისაც:

„ჩემი „შავი წიგნის“ პონორარიდან გიგზავნით ათას მანეთს ობლად დარჩენილი შვილიშვილებისათვის. მოგილოცავთ მოახლეოსულ ახალ წელს და გისურვებთ მომავალში მხოლოდ სიხარული ყოფილიყოს თქვენი ოჯახის თანამგზავრი. კიტა ბუაჩიძე. 1989 წ. 28 დეკემბერი“.

იქვე ფულიანი პაკეტიც გადმომცეს.

დიდი მადლობა ბატონ კიტას მატერიალური და მორალური თანადგომისათვის. ჩემი ოჯახიც ულოცავს ახალ წელს, ჯანმთელობასა და დიდ შემოქმედებითს სიხარულს უსურვებს მას — მწერალს, მოქალაქეს, ქველმოქმედს.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

არა პურითა ხოლო...

ეს სამკითხველო დარბაზი არ ირიცხება რესპუბლიკის კულტურულ დაწესებულებათა ნუსხაში. მაგრამ ქალაქ ჭიათურის ზონაში იგი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი ადგილია. ბიბლიოთეკა მოქმედებს სოფელ წასარის წისქვილში. მეწისქვილე გრიგოლ ცერცვაძე კი ნებაყოფლობით უთავსებს ერთმანეთს ძირითად სამუშაოსა და სამკითხველოს მომსახურებას. სწორედ მან მოაწყო ეს სამკითხველო, როცა წისქვილში მოვიდა სამუშაოდ, პენსიაზე გასვლის შემდეგ.

შრომითი გზა გრიგოლ ცერცვაძემ დაიწყო ჭიათურის ერთ-ერთ მაღაროში, იქიდან გაიწვიეს არმიაში, განვლო დიდი სამამულო ომის რთული გზები. ომის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, იყო სკოლის მასწავლებელი, ბუღალტერი, მაღაროს მემანქანე. დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკი მუდამ საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. სოფლის წისქვილში კი იგი თავს მოწყენილად გრძნობდა მანამ, სანამ აქაც არ გამონახა ადამიანთა ცხოვრების გალამაზების საშუალება.

— ყველაზე მეტად დროის დაფასებას ვარ ჩვეული, — თქვა გ. ცერცვაძემ, — მეცოდებოდა ისინი, ვინც მარცვლეულის დაფქვის მოლოდინში იძულებული იყო დრო ფუჭად დაეკარგა. და აი ჩავფიქრდი...

მეწისქვილემ გაწმინდა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დანაგვიანებული სხვენი. დადგა იქ საკუთარი ხელით ნაკეთი მაგიდები და მერხები. იქვე მოაწყო წიგნის თაროები და შინიდან მოიტანა წიგნები.

ბიბლიოთეკა თავდაპირველად მდიდარი არ იყო. მაგრამ ადამიანები ამაზეც მადლობელი იყვნენ. თანაც, ბიბლიოთეკას ნიადაგ ემატებოდა წიგნები, რომლებიც თანასოფლელებს მოჰქონდათ საჩუქრად. ახლა იგი მრავალ სოფლის ბიბლიოთეკასაც კი გაუწევს კონკურენციას. მკითხველისათვის აქ არის კლასიკური ლიტერატურის, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები, ჟურნალ-გაზეთების ახალი ნომრები. (**საქინფორმი**).

ფედერაცია ახალ რანგში

სპორტის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციასა და ფეხბურთის ლიგათა კავშირს შორის დიდი დავა-კამათი ატყდა. ყველას აინტერესებდა, ბოლოსდაბოლოს, რომელი ორგანიზაცია აიღებდა ხელში ძალაუფლებას, ვინ ჩაუდგებოდა სათავეში საბჭოთა ფეხბურთს. ამ და სხვა საკითხების გასარკვევად მოსკოვში ფეხბურთის ფედერაციის საკავშირო კონფერენციაზე შეიკრიბნენ დელეგატები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. მოსკოვიდან მოსული ინფორმაციით ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირში ფეხბურთის განვითარებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას. მას გადაეცა საკავშირო სპორტსაბჭომის ფეხბურთის ფედერაციის ფუნქციებიც.

კონფერენციამ უნდა აირჩიოს ფედერაციის თავმჯდომარე 5 წლის ვადით. აირჩევენ აგრეთვე მის მოადგილეებს, აღმასკომის წევრებს, რომლებიც გახდებიან ფედერაციის შტატიანი მუშაკები.

ბადრაკი

საუკეთესოა ელვესტი

იტალიაში დამთავრდა ტრადიციული საახალწლო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა დიდოსტატმა იან ელვესტმა — 7,5 ქულა. მას ქულით ჩამორჩა ვასილ ივანჩუკი. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ულფ ანდერსონმა (შვეცია) და ზოლტან რიბლიმ (უნგრეთი) — 5,5-5,5. შემდეგ მოდიან მიხეილ გურევიჩი (5), კრუმ გეორგიევი (ბულგარეთი) და მარგეირ პეტურსონი (ისლანდია) — 4,5—4,5, ნიკ დე ფირმიანი (აშშ) და ლაიოშ პორტაში (უნგრეთი) — 4—4, ალექსანდრე ბელიავსკი — 2.



ზამთარი იმერეთში. ვარლამ გენგიურის ფოტო.

სპორტის ამბები

● კალათბურთი დამაჯერებელი რევანში

ამ დღეებში თბილისის კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი გამართეს ალმა-ათის არმიის სპორტკლუბის გუნდთან. პირველი შეხვედრა დინამოელებმა პირწმინდად წააგეს, მაგრამ განმეორებით მატჩში სულ სხვა სურათის მოწმენი გავხდით. ჩვენმა გუნდმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და დამაჯერებელი რევანში აიღო — 100:69 (44:43). ანგარიშიდან ჩანს, რომ პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. განახლდა თუ არა შეხვედრა, დინამოელებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა, საიმედოდ თამაშობდა დაცვა, ზუსტად მოქმედებდა თავდასხმა. მასპინძლებს 31 ქულა მოუტანა ფერიაშვილმა, 23 — სანაძემ, 18-18 დარსაძემ და შენგელიამ.

ჩემპიონატში 44 ქულით ლიდერობენ მოსკოველი არმიელები, 37 ქულა აქვს ალმა-ათის ასკ-ს, 36 — რიგის ვეფს. თბილისის დინამოელებმა 30 ქულა მოაგროვეს და ჯერჯერობით მეათე ადგილზე არიან.

ჟიგულის გზით

აჭარის სიმფონიური ორკესტრი თბილისში

ახლახან თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე კონცერტი გამართა აჭარის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დირიჟორი დავით მუქერია. საღამოზე აყალრდა ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურა, ბეთჰოვენის მუსიკა გოეთეს დრამისათვის „ეგმონტი“, კომპოზიტორისა და მომღერლის შოთა ჩაკვეტაძის მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციები „ვეფხი და მოყმე“ „შაირები“, „საბა“, რომელთაგან პირველი ავტორმა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მერაბ კოსტავას ხსოვნას მიუძღვნა.

კომპოზიციის ინტერპრეტატორებად წარმოგვიდგნენ ოპერის თეატრის სოლისტები: რევაზ კაკაბაძე, აზზორ შომახია, ნაირა გლუხიაძე. მზია ქობალია, გორის სამუსიკო სასწავლებლის გუნდის სოლისტი მარინე აბუულაძე, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი (მ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით), ბათუმის მეექვსე სამუსიკო სკოლის ბავშვთა ansამბლი (მ. გაბაიძის ხელმძღვანელობით) და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბავშვთა გუნდი (ხელმძღვანელი ქ. შინდაგორიძე). ლიტერატურულ ტექსტს კითხულობდნენ მსახიობები ზინა კვერენჩხილაძე, ნინო საკანდელიძე და ზურაბ ქაფიანიძე.

აჭარელ მუსიკოსთა კონცერტმა დაადასტურა, რომ ისინი ხელოვნებაში ინდივიდუალურ გზას ეძიებენ, ცდილობენ რეპერტუარი ძირითადად ააგონ ეროვნულ საფუძველზე, მოგვევლინონ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პირველ შემსრულებლებად.

საღამოს შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ:

ოდისეი დიმიტრიადი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, დირიჟორი:

— ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კონცერტის გამართვა დიდი ეფექტი იყო აჭარის სიმფონიური ორკესტრისათვის. კარგად იქცევა ზ. ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურამ, ბეთჰოვენის „ეგმონტმა“. სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა როგორც ორკესტრი, ასევე მისი მთავარი დირიჟორი დავით მუქერია. მოხარული ვარ, რომ იგი ჩემი სტუდენტი იყო, ჩემი ხელმძღვანელობით გაიარა დირიჟორობის მთელი კურსი. თავისი პროფესიონალიდან უანგარო სიყვარული, დიდი შრომისმოყვარეობა, ახლის ძიებისაკენ სწრაფვა ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოარჩევდა ამ ახალგაზრდას.

ამ კონცერტს დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივის მომავლისათვის. ორკესტრს დღეს უჭირს. არა აქვს სათანადო პირობები მუშაობისათვის, არც მუსიკოს-შემსრულებლებთან არის ჯეროვნად დაკომპლექტებული. სასურველია, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება გამოიჩინოს ორკესტრისადმი. კონსერვატორიის კურსდამთავრებულთაგან ბევრმა ახალგაზრდამ გამოთქვა აჭარის სიმფონიურ ორკესტრში მუშაობის სურვილი, მაგრამ თუ პირობები არ ექნათ... ბათუმი მდიდარი მუსიკალური ტრადიციების ქალაქია, აქ სიმფონიური მუსიკა მუდამ უნდა ყოფილიყო. ჩემი, რომ ეს ასე იქნება.

გურამ მელიავა,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი:

— სასიხარულოა, რომ ბათუმში დღეს ჩვენი რესპუბლიკის ძნელბედობის პერიოდში მუშაობს სიმფონიური ორკესტრი და გოგონათა გუნდი. კარგი იქნება, თუ ისინი მომავალშიც შეინარჩუნებენ და განავითარებენ ამ მიღწეულს, რასაუბლიკის ხელმძღვანელობა დახმარებით კიდევ უფრო აიმაღლებენ შემოქმედებითს დონეს.

გამახარა ახალგაზრდა დირიჟორმა დავით მუქერიამ. მომეწონა მისი მანუალური ტექნიკა, სიმშვიდესთან ერთად მღელვარე ტემპერამენტიც. იგი მუსიკოსთა ოჯახიდან არის (დედა რ. ცინცაძე საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საოპერო გუნდის მომღერალია, მამა — ბ. მუქერია თეატრის ორკესტრის მუსიკოსი) და განაგრძობს მის მუსიკალურ ტრადიციებს. ვფიქრობ, დავით მუქერიას სახით კიდევ ერთი ნიჭიერი დირიჟორი შეემატა ქართულ საშემსრულებლო სკოლას. აუცილებელია ხელი შეეწყოთ მას, შეეუქმნათ პირობები პროფესიული ოსტატობის ამაღლებისა და შემოქმედებითი ზრდისათვის.

ის, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე აეღერდა შ. ჩაკვეტაძის ნაწარმოებები, მოგვლენა იყო მუსიკოსისათვის, მნიშვნელოვანი იყო ჩემთვისაც. ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი გულწრფელობა აჩნია მის ნაწარმოებებს და სწორედ ეს იყო წარმატების საფუძველი.

საერთოდ, მისასალმებელია ამ საღამოს ორგანიზატორთა მუსიკისა და პოეზიის შერწყმის იდეა.

ზინა კვერენჩხილაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი:

— საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი:

— ... ბ. ... ...